ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3108815

ნომერი: AR1479197

თარიღი : 16.02.2017

გაცემის თარიღი : 22.02.2017

გაცნობის თარიღი : 22.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა სტურუა , (ნაკვეთი N2/20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გალაქტიონ სურმავა პ/ნ 01013016521
- ჭირნახულის 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1479197 (16.02.17.) განაცხადის პასუხად გაცნობებთ: №1803374 (14.04.2015) ბრძანება რაშიც ითხოვთ ცვლილებას მომზადებულია #01.19.27.002.075 საკადასტრო ერთეულზე, რომლის გამიჯვნის შედეგად წარმოქმნილი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.19.27.002.082 ფართობის (300 მ^2) და გაბარიტული ზომების მიხედვით ახალი რეგულაციებით წარმოადგენს ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონისთვის (საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)) შეუსაბამო მიწის ნაკვეთს, რადგან საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშნიანების რეგულირების პარამეტრებია:

კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
2,5
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
600 / 700 *
კვ.მ
მინიმალური სიგანე
15 / 20 *
მეტრი
მინიმალური სიღრმე
25 / 30 *
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

საკითხის განხილვისათვის საჭიროა წარმოადგინოთ #01.19.27.002.082 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა სადაც დაფიქსირებული იქნება ახსნა–განმარტება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამომავლო სამშენებლოდ განვითარების შეუსაბამობის თაობაზე.

ამასთან ინფორმაციის სახით დამატებით გაცნობებთ: #01.19.27.002.082 საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ განვითარებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის შესაძლებლობა იზღუდება ნაკვეთის გამიჯვნის გამო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.